# სახალხო გაზეთი

№ 345 ხუთშაბათი, 7 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 345

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

**დ. ყვირილაში**

„სორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე", აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

**„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:**

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



**სამხატვრო-საისტორიო და საჯეცნიერო ანატომიური მუზეუმ!!** პარიზის მხატვრული პანორამა.

მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და სიმგელენი.

**სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:**

ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭირი. ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქ.ლებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით ზლოდინისა. (50—1338—7)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—86)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დავითიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვა ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვა მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირადოვა რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვა ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთანხმებით. სადგასტორიით. (წ.—1089—505)

**სურამში**

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საძ.—6 საძ. სხა თამდი

**ექიმი კბილისა ისიდორე ჟანტურია**

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—23)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. ე)

**წიგნის გამომცემლობა „ალიონი"-ს** მიერ დაპირებულ სამი წიგნიდან პირველი უკვე დაიბეჭდა, იბეჭდება მეორე, მალე დაიწყება მესამე წიგნის ბეჭდვაც და დაურიგდება **ხელის-მომწერთ** სამივე წიგნი ერთად.

**„ალიონი"-ს აგენტების საყურადღებოდ:** მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობას ყოველმხრივ ხელი შეეშალა ამ სამ წიგნის დროზე გამოცემაში, მაინც იმედოვნებს გამომცემლობის გამგე, დაპირება შეასრულოს ბბ-ნთ ხელისმომწერთა წინაშე ახლო მომავალში, რადაც უნდა დაუჯდეს. ვსთხოვთ იმ აგენტებს, რომლებსაც სრული ანგარიში არ შემოუტანიათ, შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში და ხელისმომწერლებისაგან აღებული ფული ჩქარა გამოგზავნონ, რომ ამით შეგვაძლებინონ წიგნების მალე გამოცემა, და აგვაცდინონ პასუხისმგებლობას იმ აგენტებისა და ხელის მომწერთა წინაშე, რომლებმაც თავის დროზე შემოიტანეს ხელმოსაწერი ფული.

გამოიცემა ხელის მოწერითვე „ალიონი"-ს მიერ შემდეგი წიგნები:

1) ი. გომართელი „სამკურნალო" საოჯახო სახელმძღვანელო წიგნი, დაახლოვებით 800 გვ. 100-მდე სურათებით, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. 2) „გაზაფხული", ქართველ ახალგაზრდა პოეტების ლექსთა კრებული, ლექსები თვით ავტორების მიერაა არჩეული. წიგნი გამოვა ივ. გომართელის რედაქციით. 3) პროფ. რ. ვიპპერი. „ისტორია ძველი, საშუალო და ახალი დროისა" მრავალი სურათით და რუქებით; სამივე ტომი ცალ-ცალკე. 4) გ. ლუნკევიჩი, „პოპულიარული ბიბლიოთეკა". ყველა ორმოცივე წიგნი 8 ან 12 წიგნად ისეთივე სურათებით, როგორიც რუსულ გამოცემაშია.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფულის გამოგზავნა შეიძლება „ალიონთან" შემდეგი ადრესით: Тифлисъ 2-я Тумановская ул. N 32 Амбросію Чалигава, გადასაცემად „ალიონი"-ს გამგისა. (2—1383—1)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ა. მ. ახპისაძე.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**მოსხი**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

**კალმიკარაცი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთ. და კვირისა 12—1 საათ.

**ღოთიძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

**რუდენკო**—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვეზლოვოზეროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ყალამქარიცი**—ნერ., ელექტრო-თერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—66)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**გ. ს. გაზაძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 საძ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—102)

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. გ. ჩუდნოვსკი**

კორინის ქ., სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—2)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. N 20. (წ.—1249—54)

**ექიმი შ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ... საღამოს 6—7 ს., ... ერეინის ქუჩა ... ი—91

**ქუთაისში**

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ იოსელიანის სახლი. (თ.—1321—26)

**აბასთუმანში**

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—18)


## ტფილისი, 7 ივლისი.

**მებრძოლი ნაციონალიზმი.** ბევრნაირია ნაციონალური ბრძოლა. სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა დროს იჩენს ხოლმე თავს ნაციონალიზმი, რომელიც დროსა და გარემოების მიხედვით, სხვა და სხვანაირის სახეს იღებს. მაგრამ ის ნაციონალიზმი, რომელსაც „გოლოს კავკაზა"-ს თანამგრძნობნი მისდევენ, სულ სხვანაირი ხასიათისაა. „გოლოს კავკაზა"-ს თავისი თავი რუსულ სახელმწიფოებრივ ინტერესების დამცველად მიაჩნია. ამასთანავე წინდაწინვე გადაწყვეტილად, აპრიორულ ჭეშმარიტებად მიაჩნია ის აზრი, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი არა რუსთა ინტერესების გათელვაში გამოისახება. ამ აპრიორულად მიღებულ აზრს ისე დაუმახინჯებია აზროვნება რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მებრძოლ ნაციონალისტებისთვის, რომ თვითოეული კულტურული ნაბიჯი არა რუსი ელემენტებისა, თვითოეული ამოსუნთქვა და სიცოცხლის ნიშნების გამოჩენა სეპარატიზმად და რუსულ საქმის ღალატად მიაჩნიათ. გადაათვალიერეთ ის წერილები, რომელნიც დრო-გამოშვებით იბეჭდება „გოლოს კავკაზა"-ში სხვა და სხვა საკითხებზე, და ნათლად დარწმუნდებით, რა ავადმყოფურ ხასიათისაა სულის კვეთება „გოლოს კავკაზა"-ს ტიპის პატრიოტებისა და ნაციონალისტებისა. ყოველ-გვარი მოვლენა, რაც უნდა საზოგადო ხასიათისა იყოს იგი, ნაციონალისტურის საზომით იზომება და ყოველგან ღალატსა ჰხედავენ, ჩვეულებრივ ყაჩაღობას რევოლიუციონურ მოვლენადა ჰსახავენ და სხვ.

ასეთის ტენდენციოზურის წერილებით ივსება რუსულ საქმეთა დამცველი ორგანოს ფურცლები. დასაბამი ამნაირი აზროვნებისა, სხვათა შორის, იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ ამ ჯურის პატრიოტებს მხოლოდ რუს მოხელეთა ინტერესი მიაჩნიათ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებად, თითქმის ამიერ-კავკასიის ძირითად მცხოვრებთა ეკონომიური კეთილ-დღეობა იგივე საერთო სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის არ იყოს სასარგებლო. მხოლოდ ავადმყოფსა და გონება დაბნელებულ ადამიანს შეუძლიან ამტკიცოს ის ველური აზრი, რომ, მაგალითად, ქართველების ეკონომიური დაწინაურება რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებისთვის მავნებელია. პირიქით, ვისაც შეგნებულად აქვს შეთვისებული ის, რაც რუსეთის სახელმწიფოსთვისაა საჭირო, ადგილობრივ მკვიდრთა სურვილს განვითარებისას და წინ-მსვლელობისას სიამოვნებით მიეგებებოდა. სახელმწიფოებრივ ინტერესების თვალ-საზრისით სწორე ნიადაგზე იდგა ნამესტნიკი, როდესაც სხვა და სხვა რეფორმების შემოღების საჭიროებას ამტკიცებდა. ეს ვერ გაიგეს და არც უნდოდათ გაეგოთ იმათ, ვინც ნამესტნიკის წინააღმდეგ წერილებსა ჰბეჭდავდნენ სატახტო გაზეთებში, არ უნდოდათ გაეგოთ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ თვითონ ანტისახელმწიფოებრივ ნიადაგზე სდგანან.

„გოლოს კავკაზა"-სთანა მებრძოლი ნაციონალიზმი და დაუსრულებელი წუწუნი ქართველთა სეპარატიზმზე შეიძლებოდა სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინა ადამიანს, რომ ხშირად გულ-უბრყვილო მკითხველთა ნახვაზე ეს რიგით შედგენილი წერილები შთაბეჭდილებას არ ახდენდეს. დაჩუმება შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიაც, თუ ერთხელ ან ორჯელ გამეორდებოდა ასეთი მოვლენა, მაგრამ როდესაც ერთსა და იმავ აზრს მოურიდებლად მთელი წლობით იმეორებენ, როდესაც ინსინუაციები და ჭორები სისტემატიურად ითხზვება, მაშინ კი ყოველმა შეგნებულმა ქართველმა პირდაპირ უნდა უთხრას მათ: სცრუობთ, როდესაც ქართველთა სეპარატიზმზე ლაპარაკობთ. თუ ამნაირის საშუალებით გინდათ ქართველებს წინ მსვლელობის სურვილი და საშუალება დაუკარგოთ, ძალიანა სცდებით, რადგანაც, თქვენი გულის სახეთქად, ქართველები არ მოისპობიან, არც რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედებენ, მაგრამ არც გარუსდებიან.

მხოლოდ ასეთი პასუხი ეკუთვნის იმისთანა კალმოსნებს, რომელთაც „გოლოს კავკაზ"-ში მოუკალათნიათ.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ტფ. ქართული გიმნაზიის სახლი,** რომელიც ველიამინოვის ქუჩაზეა, გადაგირავებულ იქმნა 250,000 მან. ამ ფულის ერთი ნაწილი მოხმარდება ძველ ვალებსა და წვრილმან ხარჯებს, ხოლო 20,000 მან. საამშენებლო კომიტეტის დადგენილებით გადაიდება ქართულ გიმნაზიის ახალ შენობის დასამთავრებლად, სახელდობ დამთავრდება: ეკლესია (აკურთხებენ წმ დავითის სახელობაზე), სააქტო და საგიმნასტიკო დარბაზი და მუზეუმი.

✦ **ბეთანიის ტაძრის** მესაკუთრის განსვენებულ პორფირე ბარათაშვილის ოჯახობას განზრახვა ჰქონია ტაძარი თავის ფართო კარმიდამოთი ან თავად-აზნაურობას შესწიროს, ან ტფ. ქართულ გიმნაზიას, საზაფხულოდ მოსწავლეთა დასასვენებლად. თვით განსვენებულ ბარათაშვილს სიცოცხლეშივე გამოუთქვავს სურვილი ამ ადგილის გიმნაზიისთვის შეწირვისა.

✦ **თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად 17** ივლისს გადახდილ იქმნება პანაშვიდი.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** განსვენებულ პ. ი. შადინოვის ნებ. ას აღმსრულებლებმა სარქისოვმა და ჯანაგოვმა ქალაქის გამგეობას უკვე გადასცეს ის **50,000** მან., რომელიც განსვენებულმა კავკასიის უნივერსიტეტისთვის დასტოვა.

✦ **ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოების** თავმჯდომარე კნეინა მ. მ. თუმანოვისა აბასთუმანს გაემგზავრა იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომელთაც კავშირი აქვთ აბასთუმანში განზრახული სანატორიის აშენებასთან.

✦ პეტერბურგში გაუჩხრეკიათ ნ. ნიკოლაძის ბინა. ჩხრეკა იმ დროს მოუხდენიათ, როცა ნიკოლაძე იქ არ ყოფილა; ისე გულმოდგინედ ეძებდნენ თურმე „რადიაცას", რომ კედელ-ბუხარიც კი გამოუნგრევიათ.

✦ 4 მკათათვეს, საღამოს 10 საათსა და 50 წუთზე მიწა ნელა იძრა.

✦ გაზეთ „კოლხიდას" პარიზიდან დეპეშა მიუღია, ბ. სტაროსელსკი ცოცხალიაო.

✦ **სინოდმა დაადგინა გამორიცხოს ტფილისის სასულიერო სემინარიიდან ორი მოწაფე,** რომელთაც შარშან ჩხრეკის დროს არალეგალური მოწაფეთა გაზეთი „ტალღა" უპოვეს. სემინარიის გამგეობას საყვედური გამოუცხადა იმის გამო, რომ არ იცის მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში რა ხდება.

✦ **რუსულ დრამატიულ წრეს** გადაუწყვეტია, ქართულ კლუბის მამასახლისებთან მოლაპარაკება გამართოს რუსულ წარმოდგენებისთვის საზაფხულო თეატრის დათმობის თაობაზე.

✦ **ილია ჭავჭავაძის საძეგლო ფონდისათვის** წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ისაია ფურცელაძისაგან მიიღო 10 მანეთი.

ამავე საზოგადოებას იაკობ. ნიკოლაძემ და მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილმა დ. ზ. სარაჯიშვილის კუბოს გვირგვინთ შემკობის ნაცვლად თითო თუმანი შემოსწირეს.

✦ **ექსკურსია ბეთანიაში.** შაბათს, 9 ივლისს, ბეთანიაში საექსკურსიოდ წამსვლელნი ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი მიდის ფეხით დილის ხუთს საათზე ქართულ გიმნაზიიდან, მეორე იქიდანვე გავა ნაშუადღევის სამს საათზე „ლინეიკით" ს. წყნეთამდე. ორივე ჯგუფი შეერთდება სამადლოში და ერთად გასწევენ ბეთანიისაკენ. სანოვაგე შაბათ დილითვე გაგზავნილი იქნება ცხენით. სანოვაგისათვის ხარჯად საჭიროა ერთი მანეთი. დაწვრილებითი ცნობები წერა-კითხვის საზოგადოებაში.

✦ **ტფილისის გუბერნატორის ბ. გ. ჩერნიავსკის** თანადასწრებით საგანგებო კომისიამ, საგუბერნიო ინჟინრის ანტონოვის მონაწილეობით დაათვალიერა გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ახალი ცირკი ავეტიანისა და ლისიციანისა. შენობა ცეცხლის გაჩენის მხრივ სახიფათო აღმოჩნდა, არც ჰაერის-სადენი და არც სხვა ტეხნიკური მოწყობილება არა ჰქონია, ამიტომ ბ. გუბერნატორმა ამ შენობაში წარმოდგენებისა და სხვა რაიმე საჭირო გასართობების გამართვა

აკრძალა ვიდრე არსებითად არ გადააკეთებენ. ამის გამო აქ მოთავსებული ფარუხის ცირკი-სამხეცო ტფილისიდან მიდის.

✦ რადგანაც ხმა გავრცელდა, **ილ. იახსეულ სავურამოს მამულში** უკანტროლოდ სჭრიან ტყესო, გუშინ წინ საგურამოში გაემგზავრნენ ლ. ბოცვაძე, ა. ყიფშიძე და დ. კარიჭაშვილი, რომელთაც დაათვალიერეს მამული. ტყეს თურმე მართლა სჩეხდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ ადგილებში, რომელიც მიჰყიდეს გლეხებს დესეტინა 25 მანეთად, სულ 500 დესეტინა. თუმცა სასურველი არ არის ტყის ასე განადგურება, მაგრამ გლეხები თავს მართლულობენ, ბევრი ვალი დაგვედო და მეტი ღონე არა გვაქვსო. წ. კ. საზოგადოების საკუთარი მამული კი კარგ მდგომარეობაში ყოფილა.

კომისიამ დაადგინა უარი ეთქვას ახალ მსურველთ და მამული ძველ მოიჯარადრე სტოგაიტის დარჩეს.

✦ **პროფესორი ვ. რ. ვიპპერის ისტორია.**—„ძველი, საშუალო და ახალი საუკუნო“ (სამი ტომი), ქართულად უთარგმნიათ და ახლო მომავალში გასასყიდად გამოვა.

✦ ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა გამგეობამ ტფილისის გუბერნატორს აცნობა, რომ მიმდინარე წლის 20 მარტს უმაღლესად დამტკიცებულ ავტორთა უფლებათა კანონის მე-IX მუხლის ძალით, რომელიმე პერიოდული გამოცემის მთელი არსებობის დროს, აკრძალულია იმავე სათაურით სხვა გაზეთ-ჟურნალიც გამოიცეს.

✦ **სანიტარული დაჯარიმება.** სანიტარულმა ექიმმა მირაქოვმა, ბაზრის ზედამხედველმა ე. ლომიძემ და სხვებმა გუშინ, ქალაქის მეათე უბანში, ვოგზლის ქუჩაზე სასტუმროები დაათვალიერეს. სასტუმრო „ბორჯომში“ კომისიამ სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა.

## წვრილი ამბები

✦ **ტფ.** პოლიცმეისტერმა ხელახლა მისცა წინადადება პოლიციას, აიძულოს მეძროხენი, რათა ცხენებს შუბლზე ტილო დახურონ დასიცხის თავიდან ასაცილებლად.

✦ პოლიცმეისტერმა სასტიკი შენიშვნა მისცა მეცხრე საპოლიციო უბნის ზედამხედველს კასპერსკის, რომელმაც კუკიის სასაფლაოზე უემბარებს აღმოჩენის ამბავი პოლიცმეისტრის თანაშემწეს კაპიტანს სტრაჟევს არ აცნობა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, 7 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრის ბაღში), საღამოს 8 საათზე, ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მორიგი კრება მოხდება.

განსახილველია: 1) კომისიის მოხსენება, აგრონომიულ დახმარების რაგვარი ფორმის მოწყობა სჯობია ეგაძისეულ მამულში სოფ. ქვემო-ჭალაში (გორის მაზრა) და 2) კომისიის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის თაობაზე.

კრებაზე დასწრება შეუძლიანთ საზოგადოების წევრთაც და არა წევრთაც; პირველთ სათათბირო ხმის უფლება აქვსთ.

✦ **ქალაქის სანიტარულ აღმასრულებელ** ბიუროს, ხოლერის წინაამდეგ ზომების შესამუშავებლად, კრება დღეს ექმნება, ნაცვლად 5 ივლისისთვის დანიშნული კრებისა.

## სასწავლებლებში

✦ **ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებში** საქის მასწავლებლის ქალის ადგილია დაცლილი. სასწავლებელთა კომისიას ამ ადგილებს 100 ქალი სთხოვს თხოვნების განსახილველად კომისიის კრება ექნება 8 ივლისს.

✦ **საბრეშუმო სადგურთან,** როგორც ვწერდით, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები გაიხსნა. ამ ჟამად მეაბრეშუმეობის კურსებზე 30 მსმენელია, ხოლო მეფუტკრეობისაზე—41. კურსების მეცადინეობა 20 ივლისამდე გასტანს.

## რკინის გზაზე

✦ მიმოსვლის მინისტრმა გადასწყვიტა სამივე ხარისხის სამგზავრო ვაგონები, რომლებსაც 1911 წლის განმავლობაში დაამზადებენ, ელექტრონით იქმნას განათებული.

✦ **სადგურ ბათომში.** 5 ივლისს, დილის 5 საათზე, სადგურ ნატანებიდან ვაგონეტკით შპალები მოჰქონდათ. უფროს მუშას სიმონ ასათიანს, რომელიც უკანიდან აწვებოდა ვაგონეტკას, ფეხი დაუსხლტა და ბორბალი ვაგონეტკას დაეტანა. მძიმედ დაშავებული სად. ნოტანებიდან ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **სად. აქსტაფა.** 6 ივლისს, როდესაც სადგურიდან საფოსტო მატარებელი № 4 გამოდიოდა, გაუფრთხილებლობის გამო ბაქანიდან გადმოვარდა მესამე კლასის ვაგონის მგზავრი **ალექსი ბახკალოვი,** რომელსაც მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული აქსტაფის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

## ქუთაისი.

✦ სათავ.-აზნ. ბანკის ბუხგალტერს, ონისიმე სვანიძეს, მომრიგებელ მოსამართლისათვის საჩივარი მიუცია, ბანკი სრულ პენსიას არ მაძლევსო.

✦ თუმცა ბანკის ძველ დამფასებლებს ვადა კაი ხანია გაუთავდათ და ახლებიც არჩეული არიან, მაგრამ ბანკის გამგეობა, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, დღემდე ახლებს არ იწვევს სამსახურზე. ამის გამო, როგორც ხმა დადის, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს, ბ. სობრიევსკის განუცხადებია: არც ერთ იმ აქტს, რომელიც ძველი დამფასებლებისაგან იქნება შედგენილი, ხელს არ მოვაწერო.

✦ შავი ქვის მრეწველითა საბჭომ პეტერბურგიდან ცნობა მიიღო, რომ მთავრობამ ნება დართო მას მექანიკური ჰაერის რკინის გზის საჭიროებისათვის ისარგებლოს „იძულებითი დასაკუთრების“ უფლებით.

## ახალქალაქი

✦ მეორე გიმნაზიის მოწაფე ოვანიანცი ამხანაგებთან ქეიფის დროს რევოლვერს ათვალიერებდა, უეცრად გაუვარდა და მოჰკლა ამხანაგი ს. ტერ-სიმონიანცი.

✦ 4 ივლისს საღამოს თერთმეტ საათზე მიწა საგრძნობლად იძრა.

## პროვინცია

✦ **„ჩახერგლის თავზე“** (ტფილისის მაზრა), დილმიდან 14 ვერსის მანძილზე მდებარე, მუხრანსკის ტყეში დილმელებს სოფ. კორთხევისაკენ მიმავალ გზის გვერდზე შეუმჩნევიათ უცნობის გვამი. მაშინვე პოლიციისთვის უცნობებიათ. სადღეობო დარაჯი მათიაშვილი იქვე ხევში ყოფილა. 100 საჟენის მანძილზე მოკლული ცხენი გდებულა. ეჭვი ნიუტანიათ მაძებარ პოლიციის აგენტზე ალექსი შელიქოვზე, რომელიც გამომტყდარა, და განუცხადებია: მათიაშვილისათვის მე უნდა მეჩვენებია ყაჩაღების ბრბოდ. მათიაშვილს ტანისამოსი გამოუცვლია, ვითომც ყაჩაღებისათვის ამხანაგობის სურვილი განუცხადებია, მაგრამ შელიქოვს, რომელიც თითონვე ყოფილა ამ ბრბოს წევრი, ეს ამბავი გაუმჟღავნებია და მათიაშვილი ყაჩაღებს მოუკლავთ.

✦ **სოფ ერთაწმინდა** (გორის მაზრა). აღკილიობრივს აზნაურს პ. გ ჯავრიშვილს განზრახვა აქვს თავის ორ-სართულიანი სახლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწიროს იმ პირობით, რომ ამ სახლში საზოგადოებამ წერა-კითხვის სკოლა გახსნას.

## სომეხთა ცხოვრება

✦ ტფილისის გუბერნატორმა ს. ა. თარაიანცს ნება დართო ტფილისში გამოსცეს სომხური **გაზეთი „ინტანიკ“** (ოჯახი), რომელიც კვირაში ორჯერ გამოვა.

✦ ტფილ. გუბერნატორმა ნება დართო ბაგრატ აფრიკიანცს, გამოსცეს ტფილისში, ორ თვეში ერთხელ, სომხური სამხატვრო კრიტიკული და სამეცნიერო დასურათებული **ჟურნალი „ჭაბუკი“.**

# ნავთი გურიაში

(სამხთო, მიქელ-გაბრიელის საზოგადოება).

სამხთოს ნავთის ნიშნებმა საყურადღებო ყურადღება მიიქცია. დიდი და პატარა ვომავალ მილიონებზე ოცნებობს. თავისუფალ მიწების ფასმა აიწია. რილსკი განაგრძობს მუშაობას. უკვე ცხრა ადგილს ჩახვრიტეს დედამიწა. საერთოდ საიმედო ნიშნები მოსჩანს. ერთ ადგილას ნახვრეტიდან წმინდა მაზუთი ამოდის. ფიქრობენ აქ დედამიწა 50 საჟენამდე ჩაალრმავონ და შემდეგ ვიშკა დასდგან. მოიჯარადრე ზიბერტს ელიან, რომელიც მალე მუშაობას შეუდგება. ამ დღეებში ბათომის ქალაქის თავმა და ზოგიერთმა ხმოსნება ნავთიანი ადგილები ინახულეს.

ი. **წუწუნავა.**

# კოოპერაცია ჩვენში

**ს. მათხოჯი** (ხონის რაიონი). ათ წელზე მეტია, რაც ჩვენს სოფელში არსებობს კოოპერატიული დუქანი. მოგეხსენებათ თუ რა უნდობლად ეკიდებოდა და ეკიდება დღესაც ხალხი ამ გვარ დაწესებულებას; ყველას ასე ჰგონია, რომ თუ საზოგადოების ფული ერთად მოგროვდა, უთუოდ გამოხტება ისეთი ვინმე, რომელიც ამ ფულებს წესს აუგებს და ხალხს მშრალზე დასტოვებს. თუ დღესაც ასე ფიქრობს ჩვენი ხალხი, რა უნდა ყოფილიყო მაშინ, როცა ეს დუქანი არსდებოდა. დიახ, ბევრი ოფლი დაღვარა ბ. ლავრენტი ჩიმაკაძემ იმ დროს და როგორც იყო საქმე მოაგვარა. მხოლოდ ხალხის მისადმი რწმენას და მისს უანგარობას შეეძლო მაშინ ამ დუქნის დაარსება.

როგორც მკითხველი ნახავს, ამ დუქანს დიდი ისტორია აქვს: დაარსდა რევოლიუციამდე, ხალხიც ენდობოდა, შემდეგ, მოძრაობის დროს—ზოგიერთმა ნაძირალებმა დუქანს ნიადაგი შეურყიეს და დაღუპვას ძლივს გადარჩა. წაფორხილების შემდეგ ფეხზე წამოდგა და ვითომ ის იყო უნდა დაჰბრუნებოდა და თავის ბრწყინვალე დროს, მაგრამ ისევ მოლიპულ გზაზე შედგა და ეხლა თავქვე მიექანება.

რაშია საქმე?

ხალხი საშინლად გულაცრუებულია დუქანზე, ვისაც უნდა ჰკითხოთ, გიპასუხებთ: ის დუქანი ჩვენი კი არა ზოგიერთების საჭმელი შეიქნა და მალე სულ დაგვრევენ ხელსო. გვეგონა ჩვენი დუქანი ცოტას დაგვეხმარებოდა, ის კი ისე გვატყუებს, როგორც ჩარჩი მოვაჭრეო.

თუ კიდევ ჩაეკითხებით რასმე, ასე გიპასუხებთ: იმის მაგიერ, რომ საქონელი იმ ფასში მაინც ჰყიდიან, როგორც ხონშია (6 ვერსის მოშორებითაა) აქ გაცილებით მეტს გვახდევინებენ და საქონელიც ხშირად ნაკლები ხარისხისაა, თან ვაჭრობაა—ფასის აწევდაწევაა, თუმცა დუქანში განცხადებაა გაკრული — ფასები შეუვაჭრებლადაო.

ეს მიზეზი მეორე უკმაყოფილებასა ჰბადებს—სახელდობრ მოგების საკითხს. ხალხი ერთობ გულ-გატეხილია მოგების სიმცირით, თან იძახიან: რასაც საქონელში მეტს ვიხდით, მოგებით იმას გვაძლევენ და ამნაირად თვალებს გვიხვევენო. ბევრი იმასაც ამბობს, რომ მოგება ფულად ვერასოდეს ვერ მივიღეთ—უთუოდ საქონლად უნდა წავიღოთ და ისიც რამდენიმე თვის შემდეგო. მესამე მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა არის პარკის საშრობი ფარდულის ყიდვა დუქნის მიერ. ამხანაგობამ იმისათვის ააგო ფარდული, რომ პარკი თვითონ უნდა ეყიდა და არა ჩარჩებს და ამ გზით სოფლისათვის უნდა სარგებლობა მიეტანაო, ნამდვილად კი რა ვხედავთ? მეორე გულის ამაცრუებელ მიზეზად ხალხი დუქანთან დაახლოვებულ პირთა შუა ნათლი-მამობას ასახელებს, ამბობენ, მხოლოდ თავისიანებს ანდობენ დუქანს სხვა და სხვა საქმესო და სხვა. ემდურიან აგრეთვე სარევიზიო კომისიის ზოგიერთ წევრებს, რომელთაც ამ საქმის არა გაეგებათ-რა.

რამდენად მართალია ხალხი?

რომელ სოფელშიც ასეთი დუქანია, აქ კერძო მოვაჭრენი ვერ უნდა ხეიროზდნენ. კოოპერაციის მიზანია წვრილ მოვაჭრეთა ხელიდან საზოგადოების დახსნა. მათხოჯის დუქანსაც ასე უნდა ექნა, მთელი სოფლის ვაჭრობა მას უნდა ჩაეგდო ხელში, უნდა გაეხსნა სოფლის სხვა და სხვა კუთხეში განყოფილებანი და მთელი სოფლის ვაჭრობაც მის ხელში იქნებოდა, მეტოქეობის ძალით არც ერთ წვრილ ვაჭარს არ გაიხარებდა. ამისათვის საკმაო დრო ჰქონდა ჩვენს დუქანს დღეს კი რას ვხედავთ? წვრილ მოვაჭრეთა დუქნები ისეა სოფლად მოფენილი, როგორც მას ჟამსა შინა, ორი დუქანი კი ერთი მარცხნივ უდგია ჩვენს კოოპერატიულს მაღაზიას და მეორე მარჯვნივ. რის ნიშანია ეს? ალბად მეტოქეობა არ არსებობს და საზოგადო დუქანიც იმ ფასად ჰყიდის საქონელს, როგორც კერძო მოვაჭრენი. ამ ნაირად დუქანი თავის გზას ასცდენია და საზოგადოების მოტყუებას შესდგომია, ჩარჩობა დაუწყია. ჩვენის აზრით, საქონელს ეს დუქანი რაკი პირდაპირ ქუთაისიდან იბარებს, ხონის ფასებში მაინც უნდა ჰყიდდეს, აქ კი ამას ვერა ვხედავთ და რა გასაკვირია, რომ ხალხი ემდუროდეს მას? რაც შეეხება პარკის ფარდულს, აქ უთავბოლობა თუ ბოროტ-მოქმედება პირდაპირ აშკარაა. პარკს დუქანი არა ყიდულობს, ფარდულს აქირავებენ. მერე, იცით ვინ ქირაობს? თვითონ გამგეობის წევრები. ვისგან? თავისგანვე. ეკითხებიან, ან ევაჭრებიან ხალხს? კრინტსაც არ სძრავენ. დაუკვირდით კარგად! გამგეობას იმისთვის ირჩევენ, რომ დუქნის ვაჭრობას გაუძღვეს, ის კი მოდის და ერთ-ერთ შემოსავლიან წყაროს თვითონ იგდებს ხელში, საზოგადოებას კი რამოდენიმე გროშს უგდებს ფარდულის ქირად. თუ კი პარკის ყიდვა მოგებაა, რატომ დუქანი არა ყიდულობს? თუ კი მოგებაა, ამ მოგებას გამგეობა რად იყრის ჯიბეში?

აშკარაა შემდეგი პოლიტიკა: გამგეობის ზოგიერთი წევრი (ზოგი გარეშე მდგომიც) იმასა სცდილობს, რომ დუქანს ხალხში სახელი გაუტეხოს, ხალხმა შეიძულოს ის და შემდეგ კი თვითონ ჩაიგდონ ხელში. ეს პოლიტიკა აშკარაა და აქედანვე ვაფრთხილებთ საზოგადოებას. აკი ერთმა ვაჟბატონმა ერთ-ერთ კრებაზე კიდეც განაცხადა: დუქანი იჯარით მოგვცეს ხალხმა კერძო პირებსო. ამნაირად ასეთი ნიშნები უკვე სჩანს. დიახ, დუქანს დაღუპვისაკენ მიაქანებენ და ეხლავე საჭი-

# ქართული ენა

(თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა *).

**III დახართავნი სახელნი და მათნი ბრუნვანი.** დასართავი სახელი იბრუნვის ხოლმე იმ სახელარსებითთან, რომელსაც ის დაერთვის და ავითარებს, და, გარემოებისა და კვალათ, ხან სრული დაბოლოება აქვს, ხანაც მოკვეცილი.

აი მოკლე ცხრილი უმთავრეს სახელის დასართავ სახელის ბრუნვისა, როგორც ძველებურის, ისე ახალის სახით. ავიღოთ სიტყვა კაცი და ვითარებითი დასართავი სახელი მდიდარი.

სახელობითი ბრუნვა

| | | |
|---|---|---|
| | მდიდარი | კაცი |
| ნათესაობ.— | მდიდრისა, მდიდრის ან მდიდარ | კაცისა ან კაცის. |
| მიცემითი — | მდიდარსა, მდიდარს ან მდიდარ | კაცსა ან კაცს. |
| მოთხრობ.— | მდიდარმან, მდიდარმა ან მდიდარ | კაცმან ან კაცმა. |
| მოქმედებ.— | მდიდრითა, მდიდრით ან მდიდარ | კაცითა ან კაცით. |
| ცვალებითი— | მდიდარ | კაცად. |
| წოდებითი— | მდიდარო | კაცო. |

ხოლო როცა არსებითი სახელი წინა ზის და მისი დასართავი სახელი კი უკან, მაშინ ამ უკანასკნელს სრული ფორმა შერჩება, ასე;

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | კაცი | მდიდარი |
| ნათესაობითი | კაცისა | მდიდრისა |
| მიცემითი | კაცსა | მდიდარსა |
| მოთხრობითი | კაცმან | მდიდარმან |
| მოქმედებითი | კაცითა | მდიდრითა |
| ცვალებითი | კაცად | მდიდრად |
| წოდებითი | კაცო | მდიდარო |

ახალის ფორმის მრავლობითს რიცხვში დასართავ სახელის დაბოლოება იგივეა, რაც მხოლოობითისაში. ეგრეთ:

| | | |
|---|---|---|
| სახ. | მდიდარი | კაცები. |
| ნათეს. | მდიდრისა, მდიდრის ან მდიდარ | კაცებისა ან კაცების. |
| მიცემ. | მდიდარსა, მდიდარს ან მდიდარ | კაცებსა ან კაცებს. |
| მოთხრ. | მდიდარმან, მდიდარმა ან მდიდარ | კაცებმან ან კაცებმა. |
| მოქმედ. | მდიდრითა, მდიდრით ან მდიდარ | კაცებითა ან კაცებით. |
| ცვალებ. | მდიდარ | კაცებად. |
| წოდებ. | მდიდარო | კაცებო. |

ხოლო როცა არსებითი სახელი წინ უძღვის დასართავს, მაშინ ეს უკანასკნელი, მსგავსათ მხოლოობითის რიცხვისა, არსებითის სახელის მრავლობითის რიცხვის სრულს დაბოლოებას ღებულობს. ესე:

| | | |
|---|---|---|
| სახელობ. | კაცები | მდიდრები |
| ნათესაობ. | კაცებისა | მდიდრებისა |
| მიცემითი. | კაცებსა | მდიდრებსა |
| მოთხრობ. | კაცებმან | მდიდრებმან |
| მოქმედებ. | კაცებითა | მდიდრებითა |
| ცვალებ. | კაცებად | მდიდრებად |
| წოდებითი | კაცებო | მდიდრებო. |

ძველებურის სახის ბრუნვა დასართავ სახელისა ექმნება:

| | | |
|---|---|---|
| სახელობ. | მდიდარნი | კაცნი |
| ნათესაობ. | მდიდართ(ა) | კაცთ(ა) |
| მიცემითი | მდიდარ(თ) | კაცთ(ა) |
| მოთხრობ. | მდიდარ(თ) | კაცთ(ა) |
| მოქმედებ. | მდიდარ | კაცებით(ა) |
| ცვალებ. | მდიდარ | კაცებად |
| წოდებ. | მდიდარნო | კაცნო. |

წინადადებაში თუ დასართავმა და არსებითმა სახელთა, ერთს უღელში შებმულ ხარების მსგავსათ, ერთი-მეორეს არ აყოლეს ფეხი და ისე არა ზიდეს ტვირთი, და თუ ერთმა ალთას გასწია და მეორემ ბალთას, აზრი სისწორით ვერ გამოიხატვის, ტვირთი დანიშნულ ალაგამდე მიუტანლად დარჩება. და თუ როგორმე მიიტანეს, ვაი ასეთს მიტანასაც! თუ მეტყველებისა და წერის დროს დასართავ სახელის ბრუნვა მის მიერ სავითარებელ არსებითის სახელის ბრუნვაზე არ დავაყენეთ, ხელში უაზრობა შეგვრჩება და სხვა არა რა.

ეს ხომ ასეა და ასეც უნდა იყოს. გარნა ჩვენთვის კანონი რამ თითქო არა წერებულაო. ვამბობთ: მომწონს ლამაზი ბავშვის თვალები; საამოა ლამაზი ქალის კაბა და არ ვიცით, პირველ წინადადებაში ლამაზი სახელდობ რას ავითარებს: ბავშვს თუ თვალებს? მეორე წინადადებაში ლამაზი კაბას ერთვის, თუ ქალს, და ჩვენს ყურადღებას ლამაზი ქალი იპყრობს უმთავრესათ, თუ მისი კაბა? ცხადია, პირველში ლამაზი ერთვის ბავშვს, მეორესაში ლამაზი—ქალს. და მაშასადამე, ორჭოფობის ასაცილებლათ, უნდა თქმულიყო: მომწონს ლამაზის (ან ლამაზ) ბავშვის თვალები; საამოა ლამაზის (ან ლამაზ) ქალის კაბა. „ივერია“, სხვათა შორის, ამ კანონს განსაკუთრებულის სიმტკიცით იცავდა, ძველს მწერლობაში ალარსად შეხვდება კაცი ამ კანონის დარღვევას.

სიფრთხილე გვმართებს მაშინაც, როცა დასართავ სახელს შემოკლებულის ფორმითა ვხმარობთ ხოლმე. ამ სახით შემოკლებული დასართავი სახელი ხანდისხან ზმნის დედად იქცევა და დასართავსახელობას, რა თქმა უნდა, ვეღარ გავაწევინებთ. მაგ. ადგილობრივი დასართავი სახელია და ნიშნავს ერთის ალაგის რისამე საგანს; ხოლო იგივე დასართავი სახელი ბოლო მოკვეცილათ ადგილობრივ მოგვიგებს კითხვაზე სად ან როგორ? და იცვლება ხოლმე ზმნისზედად. ამიტომ შეუწყნარებელია ასეთის ფრაზის ხმარება: „ქალაქის გამგეობის სოლოლაკელ წევრებს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობისათვის განუცხადებიათ“ („სახ. გაზ.“ № 294, „ნარკვევში“). ამ წინადადებაში ადგილობრივ ზმნისზედაა და ნიშნავს: იქვე, სოლოლაკშივეო. დამწერს კი ის უნდა ეთქო, რომ ტფილისის მთავრობისათვის განუცხადებიათ-თქო. მაშასადამე უნდა ყოფილიყო: „ქალაქის გამგეობის სოლოლაკელ წევრებს ადგილობრივის უმაღლეს მთავრობისათვის განუცხადებიათ“. და აზრის ორჭოფობაც აღარ იქნებოდა.

ქართულ დასართავ სახელს, სხვათა შორის, ორი ფორმა აქვს. პირველის (ფორმის დასართავ სახელის შესადგენათ სახელის ფუძეს თავში თავსართი სა, ხოლო ბოლოში საბოლოო ხმოვანი ეკვეცება და იმის ალაგს იჭერს ო. მაგ. კაცი—სა-კაცო, ღმერთი—სა-ღმრთ-ო, ჩემი—საჩემო, ქალი—საქალო, და სხ. მეორე ფორმის დასართავ სახელისათვის საჭიროა ამა და თუ იმ სახელს საბოლოო ხმოვანი მოეკვეცოს და მისი ალაგი დაიჭიროს ბოლოსართმა ურ-ი ან ულ-ი. მაგ. კაცი—კაცური, ქალაქი—ქალაქური, ყრმა—ყრმული. აქ ისიც უნდა ვსთქვათ ამ მეორე ჯურის დასართავ სახელთა შესახებ, თუ როდის იხმარება დაბოლოება ური და როდის ული. თუ სიტყვის ფუძეში უკვე არის ერთი უხმო ასო ლ, ან არც ლ-სი და არც რ, მაშინ ბოლოსართად დაესმის ური. მაგ. ქალი—ქალური, კაცი—კაცური. ხოლო ული მაშინ გაუკეთდება, თუ სიტყვის ფუძეში რ არის. მაგ. გმირი—გმირული. ბრძენი—ბრძნული.

ბ-ნმა კარი-მ თავის დასაბუთებულს წერილში („სახ. გაზ.“ № 227) უკვე აღნიშნა ის ანარქია, ჩვენს მწერლობაში რომ გამეფებულა ამ გვარ დართვითთა სახელთა წარმოების დროს, განსაკუთრებით, როცა უცხოელთაგან ნასესხები სიტყვები გვინდა ქართულ დართვითი სახელებად გარდავაკეთოთ. თვით შემთხვევაში, თუ როდის უნდა ვიხმაროთ ამ ორის სახის დართვითი სახელები, ავტორს არ უნებებია აღენიშნა. ამიტომ შემთხვევით ვსარგებლობთ და ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ მკითხველს ვრცლათ მოველაპარაკოთ ამის შესახებ. მით უფრო, რომ ამ დასართავის სახელების პირდაპირი მნიშვნელობა გვავიწყდება და როგორც მოგვხვდება, ისე ვხმარობთ: პირველს მეორის ალაგას და მეორეს—პირველის მაგივრათ.

პირველის სახის (თავსართი სა და ბოლოსართი ო) დართვითი სახელი გვიხატავს, რომ რაიმე საგანი ვისმე ეკუთვნის, მისთვის დანიშნულია, ამიტომაც ასეთს დართვითს სახელს კუთვნილებითი ჰქვიან და მოგვიგებს კითხვაზე: ვისისა? ხართო? მაგ. საბავშო ტანისამოსი (საზოგადოთ ბავშვების მიერ ჩასაცმელი), საზოგადო საქმე (რაც მთელს საზოგადოების ინტერესებს, გინა კომპეტენციას შეეხება) და სხ. მეორე სახის დართვითი სახელი, რომელსაც ური ან ული აქვს ბოლოსართად, გვიჩვენებს, რომ რა სახელსაც ის დაერთვის, იმ სახელისაგან მიუღია. თავისი არსებითი ვითარება. მისგანაა დამოკიდებული, გვიჩვენებს მის სადაურობას, ამიტომ სახელიც მიკიდებითი ჰქვიან და მოგვიგებს კითხვებზე: სადაური? ვისებური? რისებური? მაგ. გვაქვს სიტყვები კახეთი და ღვინო და უნდა გამოვსთქვათ, რომ ღვინო კახეთშია დაყენებული, კახეთის ნიადაგზე აღმოცენებულ ვაზის წვენისაგან. ვეტყვით: კახური ღვინო; ქალაქი—ქალაქური, სოფელი—სოფლური და სხ.

ჩვენ კი ამ წესს თანდათან ვშორდებით და გამოკვდის უაზრობა ლაპარაკში, უაზრობა წერაში. მაგ. ვამბობთ: „ქალების ან დედათა გიმნაზია“, თითქო გიმნაზია ქალებს ან დედებს გაეკეთებინოსთ და იმათი საკუთრება იყოს! უნდა: საქალებო გიმნაზია ე. ი. სადაც მხოლოთ ქალებს (და არა ვაჟებს) შეუძლიათ სწავლა, ქალური იქნება თვალთმაქცობა. არ ითქმის ვაჟთა გიმნაზია, არამედ სავაჟო გიმნაზია. სასოფლო გზა (მთელი სოფლის სახმარებელი), ხოლო სოფლური ღვინო, გინა მორცხვობა; სამხედრო სასწავლებელი (სადაც მხედართავის მხედრობის შესახებ საგნებს ასწავლიან), ხოლო მხედრული ქცევა, სიმამაცე; საგაჭრო სკოლა, ვაჭრული—ანგარიში, გინა უნარი, სამეგრელო—ქართველთა ერთის ტომის სამყოფელი, მეგრული—სიმღერა, ტირილი, ფაცხა; სამშობლო—ადგილი, სადაც მშობლები მეგულება და სადაც მე თვითონ ვიშევ, მშობლიური გრძნობა, სიყვარული. ქართულ სიტყვაკაზმულ

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 344.

...რთა გაფრთხილება, ზომების მიღება. ვურჩევთ ხალხს—ეხლავე შეეცადოს საქმის გამოკვლევას, თორემ შემდეგ, გვიანღა იქნება, ისეთივე საქმე მოუვა ჩვენს მაღაზიას, როგორც ქუბის ამხანაგობასა სჭირს: საქვეყნოდ დაეცემა.

დასასრულ კიდევ ლავრენტი ჩიმაკაძეზე. ჩვენ პირადად დარწმუნებული ვართ, რომ ბ. ლავრენტი (დუქნის გამგე ხელმძღვანელია დღესაც) პატიოსანი კაცია, უანგარო ადამიანია. მხოლოდ ამას უთვლით შეცდომად, რომ დუქანს ზოგიერთი არა სასურველი პირები დაუახლოვა და და ახალი ძალების დახმარებას მაინცა და მაინც არა სცდილობს. მათხოჯში ბევრი მასწავლებელია, ისე შეგნებული მუშებიც გაარკვიონ დუქნის მდგომარეობა და ისინიც ეცდებიან აღუდგინონ დუქნის შერყეული ნდობა, ვიცით, რომ ბ. ლავრენტის ბევრი საქმე აქვს, კიდეც ავადმყოფობს და ეს შეიძლება გაუძნელდეს, მაგრამ იცოდეს, რომ თუ დუქანს სახელი არ აღუდგინა, დუქნის დამარხვასაც მალე მოესწრება.—კარგი იქნება, თუ გაზეთის ფურცლებზეც გამოსთქვამს თავის აზრს. საჭიროდ მიგვაჩნია საქვეყნო პასუხი.

**მათხოჯელი.**

## მცირე განმარტება

(წერილი რედ. მიმართ)

ჩემი ლექციით უკმაყოფილო ბ-ნ Duo-ს შემიძლია მოვახსენო შემდეგი: ვეთანხმები მას მხოლოდ იმაში, რომ ჩემი ლექცია საერთოდ კონსპექტიური გამოდგა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა და რაც ლექციის დასაწყისში აღვნიშნე ბოდიშის მოხდის სახით. მაგრამ რაც შეეხება ბ-ნ Duo-ს არსებით შენიშვნებს, აქ ის რამდენიმედ სცდება. საქმე იმაშია, რომ მე არასდროს არ ამირევია ერთი მეორეში ცნებანი პესიმიზმი და მისტიციზმი და ვეინინგერიც არ დამისახავს პესიმიზმის მამამთავრად. ყოველივე ეს უნდა მივაწეროთ ბ-ნ Duo-ს მიერ ლექციის უყურადღებოდ მოსმენას. რაც შემიძლია დაუმტკიცო ლექციის ხელთნაწერით. მე ვსთქვი, რომ ვეინინგერი თავის წიგნში იცავს ფილოსოფიურ მისტიციზმს, და წიგნის ბოლოში ქალთა საკითხის გადაწყვეტას პესიმისტური ხასიათი აქვს და არც გასაკვირველია, რადგანაც ყოველივე მისტიკური მსოფლ-მხედველობა მიწიერ საკითხის გადაწყვეტაში პესიმიზმის ბურუსში ეხვევა; ამას ამტკიცებს ფილოსოფიის ისტორია. ვეინინგერი სწორედ ყველასათვის ასეთია, ვინც ის გულდასმით გათაიკითხა. შემდეგ ბ-ნი Duo გვისაყვედურებს, შინაარსი გადმოცემის დროს წიგნიდან ადგილები გამოსტოვაო. ამაზე უნდა მოვახსენო, რომ რომელიმე ავტორის აზრთა გადმოცემა არ გულისხმობს აუცილებლად მისი წიგნის თავიდან ბოლომდე შინაარსის გადმოცემას; ეს უფრო გიმნაზიის მოწაფის მოვალეობაა, ვიდრე მისი, ვინც ამა თუ იმ ფილოსოფიურ სწავლებას შეგნებულად უცქერის და ეძებს მასში ავტორის დამახასიათებელ მხარეებს და ამ მხრით ეს უკანასკნელნი საკრიტიკო მასალას წარმოადგენენ. აი სწორედ, ამიტომ გამოვტოვე მე, მაგ., თავი „ებრაელობა", რომელსაც თითქმის არავითარი საერთო არ აქვს წიგნის საზოგადო დანიშნულებასთან, და მისთან ეს თავი მე მიმაჩნია ვეინინგერის წიგნის ყველაზე უფრო დაუსაბუთებლად. ამიტომ, ვიმეორებ, რომელიმე ავტორის სწავლების გადმოცემა არ საჭიროებს მის სიტყვა სიტყვით განმეორებას, არამედ საჭიროა ერთნაირი სისტემა, პრაგმატიულად დალაგება მისი და ერთნაირი თვალსაზრისით განათება. აი ეს ვეცადე მე ჩემს ლექციაში.

რაც შეეხება უცხო სიტყვების ხმარებას, უნდა ვსთქვა, რომ ვეინინგერის აზრთა გადმოცემის დროს ეს, ჩემის აზრით, არასასიამოვნო აუცილებლობას წარმოადგენს და ამიტომ ვერც მე ავცდი მას.

და ბოლოს ვეინინგერის გაკრიტიკოსების შესახებ მოვახსენებ ბ-ნ Duo-ს, რომ მე არა მქონია მიზნად მისი დეტალური კრიტიკა, არამედ საზოგადო და არ ვიცი რას მივაწერო აქ ბ-ნ Duo-ს საყვედური. თითქოს კრიტიკა აუცილებლად დეტალური უნდა იყოს და არა საერთო, პრინციპიალური. საქმე იმაშია, რომ ვეინინგერის კრიტიკა შეიძლება ორის მხრით: ფილოსოფიურისა და სოციოლოგიურის. მე პირველი მხარე **შეგნებულად** დავსტოვე, რადგან ჩემი აუდიტორია **საერთოდ** არ მიმაჩნდა ამისათვის მომზადებულად, რაზეც ალბად თვით ბ-ნი Duo დამეთანხმება და მასთან ფილოსოფიური გარჩევა ქალთა საკითხისთვის, რომელიც მე მაშინ მაინტერესებდა, არც იმდენ აუცილებლობას წარმოადგენდა. ამიტომ მე შევეხე ვეინინგერის აზრებს შესახებ ქალისა, როგორც მოაზროვნე ინდივიდისა, სოციოლოგიურად, რასაკვირველია ძალიან ზოგადად.

**ალ. გურჯიშიანი.**

## მოწერილი ამბები

**ს. ხეთა.** (ზუგდიდის მაზრა). საშინელმა ზამთარმა თითქმის სანახევროდ იმსხვერპლა სამეგრელოში ბირუტყვი. თუ დიდის ბრძოლით გადარჩენილა ცოტაოდენი ნაწილი, ისიც გამხდარი და ძალზე მისუსტებული. ამ ზაფხულმა ცოტად სული მოაბრუნებინა და მოაღონიერა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამ დროს დაერია „თურქული", რომელიც საშინლად სტანჯავს, აწვალებს ძროხას, ხარს, კამეჩს, თხას, ღორს. სოფლის უმთავრესი სიმდიდრე კი ესაა. მაგრამ მშველელი არავინაა. ბეითალიც არა გვყავს. საქონელს ჯერ პირი უსივდება, სტკივა, ნერწყვი მოსდის, ჭამა უძნელდება, მერე ფეხები უსივდება და სიარული და ფეხზე დგომა არ შეუძლიათ, ერთ ადგილას უნდა უზიდოთ სასმელ საჭმელი. ამნაირ სოფლის გაჭირებას მთავრობა რომ მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას საჭიროა და დიდ სიკეთესაც გაგვიწევდა. საჭიროა გიცოდეთ მაინც ავადმყოფი პირუტყვის რძე და ხორცი რამდენად უვნებელია, ან ეს სენი ადამიანს ხომ არ გადაედება.

გთხოვთ სპეციალისტმა ექიმებმა გაზეთის საშუალებით მაინც მოგვაწოდონ დარიგება.

**ერმილე ხეთელი.**

---

**მანგლისი.** 25 თიბათვეს აქ მობრძანდა ტფილისის გუბერნატორი ხვენისოვსკი.

ამ დღეს ჯერ ს. პრიუტში მოეგებრა მრავალი ხალხი თავი. ეს ხალხი შესდგებოდა ორ ქართველ საზოგადოებიდან, დგვევისა და ბ. თიანეთისა, ხოლო მესამე, პრიუტელ რუსებისა იყო. თვითეულ საზოგადოებას თავ თავისთვის დაედგათ მაგიდები, რაზედაც პურ-მარილი ეწყო. შუა მაგიდა რუსებს ეკუთვნოდა. ჯერ მაზრის უფროსმა მომრიგებელმა შუამავალმა გამოიარა ეტლით. მეშვიდე საათი იქნებოდა, რომ გუბერნატორი მობრძანდა ავტომობილით პრიუტში. ავტომობილი შუა ადგილას გაჩერდა, სადაც ხალხი იყო შეკრებილი, მიიღო პურ-მარილი რუსების საზოგადოებისა. მათ გუბერნატორს მოკლედ მოახსენეს თავისი გაჭირვება და თხოვნა მიართვეს. შემდეგ მიბრძანდა გუბერნატორი დგვევის საზოგადოების მაგიდასთან, აიღო პურ-მარილი და ხალხს მიმართა: გის რა უნდა მოეხსენებინა. მათ აუხსნეს თავიანთი გაჭირვება, სთხოვეს სხვა და სხვა გადასახადების შემცირება, მოურავების და საბანკო აგენტების თავ-გასულობა უთხრეს და სხვა... მან უბრძანა შველა ეს ქაღალდზე აენუსხათ და მისთვის მიერთმიათ.

ბოლოს პატარა თიანეთის საზოგადოების პურ მარილი მიიღო, მათაც შესწირეს გუბერნატორს თავისი გასაჭირი, თუ როგორ შევიწროვებულნი არიან ტყის მცველებისაგან, სახელმწიფო ქონებათა მმართველობისაგან და სთხოვეს დაუბრუნდეთ მათ მათი სახამადარი სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები, რომელნიც ამ ორ სამ წლებში ჩამოერთვათ და ზემოხსენებულ მმართველობას გადაეცა. გუბერნატორმა ამათაც უბრძანა თხოვნით მიემართათ მისთვის. მალე დაიძრა ავტომობილი.

დ. თიანეთში გუბერნატორი არ გაჩერებულა, თუმცა აქაც თიანეთის საზოგადოების ხალხი პურ მარილით დაუხვდა.

რკის ნახევარზე გუბერნატორი მობრძანდა მანგლისში. მას მანგლისის საზოგადოება დახვდა მეხრის ხიდთან მაზრის უფროსის და მომრიგებელი შუამავალის მეთაურობით. მაზრის უფროსის მოხსენების შემდეგ გუბერნატორს მანგლისის საზოგადოებამ მიართვა პურ-მარილი. გუბერნატორმა უბრძანა ხალხს, ვისაც რა აქვს სათხოვარი, ხვალ კვირას მიემართნათ მისთვის და მსწრაფლ მოეფარა ავტომობილი მოხვეულს. ხალხმა „ურას" ძახილით გააცილა.

კვირას, 26 ივნისს, დილითვე ფოშტის წინ მრავალი ხალხით იყო გაჭედილი. ჯერ მაზრის უფროსი მობრძანდა ამ ადგილას. მას რუსის საზოგადოებამ მიმართა ქართველებზე საჩივრით, ვითომ ქართველები ავიწროვებენ მათ, უხდენენ ნათესს და სხვა. ორ საზოგადოების (თიანეთის და მჭადისისა) მამასახლისებმა მოახსენეს მაზრის უფროსს, საჩივარი ყურადღების ღირსი არ გახლავთ, რადგანაც, როგორც მეზობლები და მოძმენი, ხან ჩვენი და ხან მაგათი საქონელი გადადგადის ერთმანეთის მამულებშიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გუბერნატორიც მობრძანდა. ხალხი მას ქუდ მოხდილი დახვდა, ყველამ თავთავიანთ გაჭირვება მოახსენეს გუბერნატორს, მან უბრძანა ქაღალდით მიემართნათ მისთვის.

აქედან გუბერნატორი მაზრის უფროსისა და მომრიგებელი შუამავლის თანხლებით გაემგზავრა „სტარომანგლისის" და „ბოსელენიის" დასათვალიერებლად.

27-ს, ნასადილევს, გუბერნატორი გაემგზავრა თბილისისაკენ.

**კოტე ფახანაურელი.**

## პასუხის მაგიერი.

**ბატონს კოდელს.**

(წერილი რედ. მიმართ)

თქვენ, ბ. კოდელო, თქვენს წერილში „გომის სინდიკატი" (სახ. გაზ. № 303). სხვათა შორის მეც მწვდით კისერში „ბათუმელმა იასე რაჭველმაც კი გაჰკრა კლანჭი ამ ფულით ღარიბს ამხანაგობასო".

თუ რომ ყველა თქვენი, ზემოხსენებულ წერილში ჩამოთვლილი ბრალდებანი ასე სწორია, უნდა მოგახსენოთ, ვაი მკითხველის ბრალი...

მე კი უნდა ვიგულისხმო, რომ თქვენ ან არ იცით საქმე როგორ იყო, ან განგებ სწერთ, თითქოს სინდიკატი მართლა სხვებს დაეღუპოს, თორემ მისი მოთავენი კი ვითომ არაფერ შუაში იყვნენ. ეს რომ ასე არ იყოს, უეჭველად გაგახსენდებოდათ სინდიკატის საქციელი ჩვენი ამხანაგობისადმი მაინც.

სინდიკატს უნდა ჰქონოდა ბირჟის ფასობაზე ბათომში ამხ. „გეორგია"-ს საწყობში მუდმივად ასი თუმნის საქონელი: თივა, ბზე, სიმინდი და სხვა. ჩვენ კი გაყიდვის თანდათანობით უნდა გვეძლია სინდიკატისთვის ფული. ყოველი გაყიდულის ბადლად ახალი საქონელი უნდა ეგზავნა სინდიკატს ჩვენთვის მოთხოვნილებისამებრ.

როგორ მოიქცა სინდიკატი? მან მხოლოდ პირველად გამოგზავნა ვარგისი საქონელი.

შემდეგ კი ნახევრად უვარგისი საქონლის გზავნა დაიწყო.

ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა, რომ რიგიანი საქონელი ეგზავნათ.

მიუხედავად ასეთის საქციელისა, ჩვენ ისინი მაინც არა გვიზარალებიარა, ჩვენ კი დიდი ზარალი მოგვივიდა, რადგან სინდიკატის მიზეზით ბათომის ქალაქის თვით-მმართველობასთან დადებული პირობა—თივა-ბზის ჩასაბარებლად დავკარგეთ, აგრე დაგვემართებოდა სამხედრო ბათომის გარნიზონთანაც, რომ საქმისთვის, სხვაგზით არ გვეშველნა.

ერთხელ მთელი პარტია თივისა სავსებით დაგვიწუნეს. ასე განმეორდა მეორედაც და სწორედ ამიტომაც იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა საქმე სინდიკატთან.

სწორედ ამ ხანებში გავიცანით მე და ესტატე ჩხარტიშვილმა, ბაქოდან ჩამოსული თივა-ბზის მოვაჭრე სერებრიაკოვის წარმომადგენელი და მისი საშუალებით შევასრულეთ გარნიზონის პირობა.

განსვენებული ჩხარტიშვილი დიდი თანამგრძნობი იყო ჩვენში ამხანაგობების აღორძინებისა და მითხრა: მართალია სინდიკატი წესიერად ვერ მოიქცა, მაგრამ მაინც უაყალ-მაყალოდ გავისტუმროთ იგი, ნუ აღძრავ [illegible] ვარს, გამოაშკარავება [illegible] და გლახად იმოქმედებს სხვებზედაცაო. მეც დავეთანხმე და ვექსილი მივეცი, რომელიც თავის დროზე გამოვიხსენი კიდეც.

აი როგორ ისარგებლეს მათ ჩხარტიშვილის გულ-კეთილობით...

დიახ, ბატონო კოდელო, საქმე ასე გახლდათ, რაც, ვგონებ თქვენც კარგად უნდა გცოდნოდათ, თუ კი იმ დროს სინდიკატში იყავით.

მაგრამ იცით რა უნდა მოგახსენოთ?—ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც თქვენი სინდიკატი, ისე სხვა ყველა ამხანაგობანი ჩვენში ერთსა და იმავე მიზეზით ბრკოლდებოდა... ეს მიზეზი ყველა ჩვენთაგანმა კარგად ვიცით ახლა, მაგრამ მაინც კიდევ ზოგ ჩვენთაგანს სურს სხვებს გადააბრალოს, თითქოს ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

**იასე რაჭველი.**

## უცხოეთი

**ჩინეთი.**

— იაპონიის კონსულმა მანჯურიის ვიცე-კოროლს პროტესტი განუცხადა იმის თაობაზე, რომ ჩინელები იაპონელ ყარაულებს თავს ესხმიან და სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზაზე ყაჩაღობენო. კონსულმა ამას ისიც დაუმატა, თუ ჩინეთი თითონ არ მიიღებს ამ ყაჩაღების საწინააღმდეგოდ ზომებს, იაპონია ყარაულებს გააძლიერებსო. ვიცეკოროლმა უპასუხა, თუმცა ჩინეთი მოვალე არ არის სხვის რკინის გზებს უყარაულოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იაპონიას მიეშველება, თუ კი იაპონია თავის სოფლებში ჩინეთის პოლიციას მოქმედების უფლებას მისცემსო. კონსულმა ეს წინადადება არ მიიღო. საკითხი პეკინს გადავიდა გასარჩევად.

— ჩინეთის პროვინციებიდან ამბავი მოდის, ძველსა და ახალს ჯარს შეტაკება მოსვლიაო.

— სამხედრო მინისტრმა პოტინფუში კომისია გაგზავნა. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს ის მიზეზები, რომლის მეოხებითაც იქ თოფის წამლის საწყობი მეორედ აფეთქდა. ჩინური და ინგლისური გაზეთები ამბობენ, აფეთქება შედეგია იარაღის პარვისაო. ვიღაცები იპარავენ იარაღს და ხუნხუზებს მიჰყიდიანო. რამდენიმე თვის წინედ, გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს პოლი-

---

მწერლობის საზოგადოება აცხადებს: „(შევიკრიბნეთ) ბანკის დამფასებელი კომისიის სადგომშიო"... თითქო დამფასებელი კომისია რამე არსებობდეს, რომელმაც ეს ბანკი უნდა შეაფასოს!... ვის, ვის, მაგრამ ამ განცხადების დამწერთ მაინც მოეთხოვებათ სისწორე! უნდა ეთქოთ: ბანკის სადამფასებლო კომისიის სადგომში-თქო. არ ითქმის აგრეთვე: „ქალაქის ამშენებელი კომისია". თითქო კომისია რამე არსებობდეს ქალაქის ასაშენებლად! უნდა ითქოს: საამშენებლო კომისია, ე. ი. რომელსაც საერთოდ შენების და შენობათა საქმე აქვს მინდობილი. სახალხო შეიძლება იყოს გაზეთი, სკოლა, სწავლა-განათლება, ე. ი. რაც ხალხს ეპირვება ან შეეფერება, ხოლო ხალხური ლექსები, ზღაპრები, კილო ლაპარაკისა, სამეცნიერო აკადემია (დაწესებულება, სადაც არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე მეცნიერებით აღჭურვილნი გვამნი, ერთად შეკრეფილნი, იღვწიან მეცნიერების წინსვლისათვის, კაცობრიობის საკეთილდღეოთ), მეცნიერული—სჯა-ბაასი, გინა ნაწერი რამ და სხ. ყოველდღე ან ყოველკვირა ან კიდევ ყოველთვე რომ გამოდის ისეთ გაზეთის გინა ჟურნალის შესახებ არ ითქმის ყოველდღიური, ყოველ-კვირეული ან ყოველ-თვიური, არამედ უნდა ითქვას: საყოველდღეო, საყოველკვირაო ან საყოველთთვეო გამოცემა, ე. ი. ყოველდღისა კვირისა გინა თვეისათვის რომ არის დანიშნული, ისეთი გამოცემაო, ხოლო ყოველდღიური იქნება ქირა, გინა შემოსავალი.

სადაც თვით ქართულ სიტყვების ხმარების დროს ასე გვერევა დავთრგვი, უცხოთაგან ნასესხებ სიტყვების მნიშვნელობა რომ უარესათ დავამახინჯოთ, რა გასაკვირველი იქნება! ამ შემთხვევაში საქმეს უფრო ის გაგიჭირვებს, რომ რუსებს, ვის საშუალებითაც უმეტესათ ვსესხულობთ სიტყვებს უცხოელთაგან, ჩვენს მსგავსად არა აქვსთ ზემოთ ჩამოწერილი ორნაირის სახის დასართავი სახელები, რომელთაც თავიანთი სპეციალი მნიშვნელობა აქვსთ. რუსები, როგორც ერთის საგნის მეორის მიერ კუთვნილებას, ისე დამოკიდებულებას დამოკიდებითის სახის დასართავ სახელის შემწეობით გამოხატავენ ხოლმე. ჩვენც მათგან ამ ფორმას პირწმინდათ ვსესხულობთ, მოვაბამთ ქართულს ბოლოსართს და მორჩა, მერე თავს აღარ ვიცხელებთ იმის გამოძიებით, თუ ვითარი მახინჯი ფორმა შემოგვაქვს ჩვენს ენაში, არა ვკითხულობთ, თუ მოგვეპოვება რამე სხვა გზა ხსნისა, რომ დასართავს სახელს უფრო სისწორით გამოვახატვინოთ ესა თუ ის სასურველი მცნება. და აკი ამიტომ გავიძახით და ვწერთ: მუსიკალური სასწავლებელი, სადაც უნდა ვთქვათ სამუსიკო. მუსიკალური შეიძლება იყოს ხმა, ლაპარაკი, სიმღერა—დასაპირდაპირებლად არამუსიკალურის ხმისა, სიმღერისა და სხ. თუ ვთქვით მუსიკალური სასწავლებელი, ისე გამოვა, თითქო სასწავლებელი საამო, ხელოვნური, მუსიკის მოთხოვნილების შესაფერი რამ დაწესებულება იყვეს! ვამბობთ: არტისტული საზოგადოება, სადაც უნდა ვთქვათ საარტისტო; არტისტული საზოგადოება კი ნიშნავს ხელოვნურს საზოგადოებას, რომელიც, შეიძლება, სულაც მოკლებული იყოს ყოველსავე ხელოვნებასა; საარტისტო კი იქმნება დაწესებულება, გინა სახლი, სადაც თავს იყრიან ხელოვნების მსახურნი, გინა მოყვარენი. უნდა ითქოს: საფილარმონიო საზოგადოება, გინა სკოლა, ხოლო ფილარმონიული საკრავი; საკომერციო ბანკი გინა სკოლა, ხოლო კომერციული ანგარიში; სადრამო კურსები გინა საზოგადოება, დრამატიული—პიესა, მოქმედება, მსახიობი, მდგომარეობა, მიხვრა-მოხვრა, სტილი წერისა, ავტორი; სათეატრო სეზონი, თეატრული (და არა თეატრალური) თამაშობა, ქცევა, მოქმედება. საქალებო საეპარქიო სასწავლებელი, მთავრობა, მეთვალყურე სკოლათა, საბჭო, სამღვდელოების კრება და არა ეპარქიული. სამთამადნო ინსტიტუტი და არა მთამადნური, არც მთამადნის. საისტორიო (ისტორიის შესახები, გინა შესასწავლი) საზოგადოება, ისტორიული—მომენტი გინა პირი. საეტნოგრაფიო (ეტნოგრაფიის შესასწავლი) საზოგადოება, გამოკვლევა, ეტნოგრაფიული—ნივთი. საარქეოლოგიო საზოგადოება გინა მოგზაურობა, არქეოლოგიური—ნივთი. საბოტანიკო (ბოტანიკის შესასწავლი) ბაღი, ლექსიკონი, და არაფრის დიდებით—ბოტანიკური. საპედაგოგიო ჟურნალი გინა საბჭო მასწავლებელთა, პედაგოგიური (პედაგოგიის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი) აღზრდა მასწავლებელთა, ხერხი; საზოოლოგიო ბაღი, ზოოლოგიური—ცხოველი. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი, პოლიტეხნიკური—ხერხი მუშაობისა. სამათემატიკო მეცნიერება, ნიჭი, მათემატიკური—გამოანგარიშება რისამე. საფერშლო სასწავლებელი და არა ფერშლის სასწავლებელი („სახ. გაზ". № 278), ფერშლის რომ ვთქვათ, ისე იქმნება, ვითომ ერთს ვისმე ფერშალს გაეხსნას სასწავლებელი, შეიძლება, არა საფერშლოცა. სატელეფონო სადგური და არა ტელეფონის (თითქო ტელეფონი სულიერი ვინმე არსება იყოს და იმას ეკუთვნოდეს სადგური ან კიდევ თითქო ტელეფონისაგან იყვეს გაკეთებული სადგური), სატელეფონო კი აღნიშნავს ადგილს, სადაც თავმოყრილია ტელეფონის მანქანები, თვით მეტელეფონენი, მართვა გამგეობა თვით ტელეფონის საქმისა და სხ. არ ითქმის „ფინანსიური კომისია", არამედ საფინანსო—ფინანსიური შეიძლება იყვეს ხარჯთ-აღრიცხვა, ანგარიში, ვარაუდი და სხ. უნდა ითქვას: ბიურო სასტატისტიკო, ცნობა კი სტასტიკური იქმნება. საკოოპერაციო საზოგადოება გინა ბანკი, ხოლო კოოპერატიული (შეერთებული)—წარმოება საქმისა. საგრამატიკო კანონი, სწავლა, გრამატიკული—ე. ი. გრამატიკის შესაფერი, კანონიერი ლაპარაკი, გინა წერა, ხოლო უგრამატიკო, ე. ი. უსწორო ლაპარაკი. საპოლიტიკო ჟურნალი გაზეთი, ორგანიზაცია, სჯა-ბაასი (პოლიტიკის შესახები), პოლიტიკური—ანუ მოხერხებული, შორს გამჭვრეტი მოქმედება. საფილოსოფიო სჯა-ბაასი, საზოგადოება ანუ ჟურნალი, ხოლო ფილოსოფიური ლაპარაკი (ჭკვიანური, ბრძნული).

ამ უცხო სიტყვებისაგან ქართულად ნაწარმოებ დასართავ სახელებს ყველაზე უფრო უკუღმართად ჩვენი ექიმები ხმარობენ, სწორედ ისინი, ვისაც სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებათ მაინც არ უნდა ესმოდესთ მათი მნიშვნელობა. მათს მიერ გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებები მონათლულ კაცს არ წაეკითხება. მაგ. ერთი პატივცემული ტფილელი ექიმი აცხადებს: „ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალოვო". თითქო სამკურნალო ქართველ ექიმს კი არა, ვიღაც ელექტრონსა და რენტგენს ეკუთვნისო!.. უეჭველია, პატივცემულ ექიმსა სურდა განცხადების მკითხველისთვის გაეგებინებინა, ამ სამკურნალოში ელექტრონითა და რენტგენის სხივების საშუალებით ვუწამლებთ ავადმყოფთაო. უნდა ეთქო: საელექტრონო და სარენტგენო (თუ სიტყვის გავრძელებას მოერიდებოდა და სარენტგენის სხივები-ს არ იტყოდა) სამკურნალო-თქო. ქუთათელი ექიმი კიდევ ასე აცხადებს: „ქირურგიული საავათმყოფოვო"... ქირურგიული საშუალება გაგონილა ავადმყოფის მომრჩენისა, ხოლო თვით საავათმყოფო იქმნება საქირურგიო, ე. ი. დაწესებულება, სადაც ქირურგიისათვის საჭირო მოწყობილება და იარაღებია, თვით ქირურგიც არის და როცა სხვა წამლებით ვერაფერი გაუწყვიათ, ავადმყოფს ქირურგიულის საშუალებითა ჰკურნავენ ხოლმე. სხვა ექიმის განცხადებაში კიდევ ასეთი ქართულია: „მიკროქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია"... თითქოს ლაბორატორია ბაქტეროლოგიისა და მიკროქიმიისაგან იყოს გაკეთებული და მოწყობილი!.. უნდა ითქოს: სამიკროქიმიო და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია, ე. ი. დაწესებულება, გინა სახლი, სადაც იკვლევენ ყოველსავე, რაიცა შეეხება მიკროქიმიასა და ბაქტეროლოგიას. საქიმიო შეიძლება იყოს სკოლა, ხოლო ქიმიური—ანალიზი, საშუალება, პროდუქტი.

დასართავ სახელების დაბოლოებანი ელი და ური (ული). სხვა და სხვა ქვეყანათა, ქვეყნის მხარეთა, სოფელთა და ქალაქთა, სახელებს, რომელნიც ეთი-ზე ბოლოვდებიან, ეს დაბოლოება ეკვეცებათ, როცა მათგან დამოკიდებითი დასართავი სახელები გვინდა ვაწარმოვოთ. თუ დასართავი (კითხვაზე სადაური?) ადამიანს გვინდა მივაკუთნოთ, მაშინ ამა თუ იმ ადგილის სახელს ეთი ელი-ად შეეცვლება. მაგ. კახეთი—კახელი, ხოლო როცა დასართავი სახელი უნდა მიემისოს: სხვა სულიერ არსებას, თვინიერ ადამიანისა, გინა განყენებითს არსებითს სახელს ანუ უსულო საგანს რასმე, მაშინ ეთი-ს ალაგს იჭერს ური ან ული (იხ. ამ თავის დასაწყისში: როდის იხმარება ური და როდის—ული). მაგ. სიტყვა რუსეთი-საგან (ქვეყნის მხარის სახელი) იწარმოება: რუსული ულმობელობა (განყენებითი ცნება), რუსული ლორი (სულიერი არსი, გარნა არა ადამიანი), რუსული არაყი (უსულო საგანი). აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეთი-ს დაბოლოვებიან ქვეყნების, გინა მათთა ნაწილთა (და არა ქალაქებისა და სოფლებისა) სახელებისაგან წარმოებულ დასართავ სახელებს, როცა ეს სახელი ადამიანის სადაურობას გვიჩვენებს, დაბოლოება ეთი ჯერ ელი-დ უკეთდებათ, მერე ეს ახალი დაბოლოებაც ჰქრება და მის მაგიერ სიტყვის ფუძეს მიემატება მარტოოდენ ო. მაგ. ავიღოთ საქართველოს ნაწილები კახეთი, ჯავახეთი და იმერეთი. ადამიანის სადაუ-

ტინფუს თოფ-ხანაში ბოროტ-მოქმედებანი ხდებაო. მთავრობა ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა გაზეთების სიტყვები საქმით დამტკიცდა, მთავრობამ კომისიის გაგზავნა გადასწყვიტა.

— ჩინეთის მთავრობამ სთხოვა იაპონიისას, გამოუცხადეთ ტოკიოში მყოფ ჩინელ სტუდენტებს, რომ რაკი ეგენი ამ ბოლო დროს სამშობლოში მხოლოდ იმიტომ ბრუნდებიან, რომ თავის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიონ, ამიტომ მათ ჩინეთში დაბრუნება სამუდამოდ აეკრძალათო.

### ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ.

იაპონიის გაზეთები და პარლამენტი ხმელეთის ჯარის გაძლიერების წინააღმდეგნი არიან და ითხოვენ, რომ ფლოტი გაძლიერდეს. ამიტომ იაპონიის საზღვაო სამინისტროს ახალ გემთა პროექტი შეუდგენია. უნდა აშენდეს 7 ჯავშნოსანი გემი, 4 ჯავშნოსანი კრეისერი და 5 კრეისერი 1 და 2 ხარისხისა.

— სეულიდან იტყობინებიან: დაიწყო მეამბოხეთა მეთაურის ლიაოს საქმის გარჩევა. ლიაოს მოსამართლეებისათვის განუცხადებია, ჩემი მიზანი იყო, რომ კორეელებში პატრიოტული გრძნობა გამეღვიძებინა, გადამესახლებინა რუსეთისა და ჩინეთის მიწა-წყალზე და იქიდან ბრძოლა დაგვეწყო კორეის თავისუფლებისათვისაო.

— იქიდანვე იტყობინებიან სამართალში მისცეს 200 კორეელი, რომელთაც იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება ჰბრალდებათო.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მკათათვე.

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ.

**ვენა.** ჭეოფურგში დიდი ამბით გაიხსნა რეიხსრატი. იმპერატორმა სიტყვა წარმოთქვა. [uncertain reading in print: სიტყვა ბრძანა]

**სტამბოლი.** ფლოტი გავის ზღვაში გავიდა.

**უსკიუბი.** კოსოვოს მხარეში რამდენიმე ადგილას ახალ-გაზრდა ოსმალებმა კრებები გამართეს და ალბანელებს ძალა დაატანეს, პორტასათვის დეპეშები გაეგზავნათ მალისორების მოქმედებაზე პროტესტის განცხადებით. სოფელ ორაშიკაში, ოსმალებმა მოკლეს ოთხი ახალგაზრდა ქრისტიანი, ორი ვაჟი და ორი ქალი.

**პარიზი.** დესელემა ელკსარში მომხდარი ამბები სამინისტროს აცნობა და სთქვა, რომ იაპონიას პასუხს მოვთხოვთ.

**ბერლინი.** გაზეთები სიხარულით აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში, ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში, პოლონური ენა თითქმის ამოვარდა. აღარ არის ისეთი ადგილები, სადაც მთლად ამ ენაზე ლაპარაკობდნენ.

**სტამბოლი.** მალისორების საწინააღმდეგოდ მომქმედ ჯარის მთავარსარდლად თურღუთ-ფაშის მაგივრად, პირველ და მეორე კორპუსების ინსპექტორი აბდულ-ფაშა დაინიშნა. ხანტაკვანტაში მომხდარი უწესოებანი ჯარმა და ნადმოსნმა გემმა „თალიგოთმა“ ჩააქრეს. პორტას ატყობინებენ, რომ იპეკსა და დიაკოვოს შუა ალბანელები ყარაულებს დაეცნენ და 3 კაცი მოჰკლეს. ალბანელთაც 3 კაცი დაჰკარგეს და მიიმალნენ. ესმედ-ფაშის დამარცხების ამბავს პორტა უარ ჰყოფს. ესმედის მოკვლის განმზრახველი დაატუსაღეს. სამინისტროს გადადგომაზე ქალაქში ხმა დადის.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ელკსარიდან ატყობინებენ: საფრანგეთის საელჩოს აგენტი ბუასსე ქალაქში ბრუნდებოდა და ელკსარის ქალაქის კარებს მიუახლოვდა. ყარაულმა მას იარაღის აყრა მოსთხოვა. ბუასსემ უარი განაცხადა. მაშინ იგი დაატუსაღეს. ქუჩებში რომ მიჰყავდათ, ხალხის ბრბო მისდევდა და დასცინოდა, საფრანგეთის ელჩი ისპანელებმა დაატუსაღესო. როცა ბუასსე ისპანელ ოფიცერთან მიიყვანეს, ოფიცერმა განაცხადა: შეცდომა მოსვლიათ ყარაულებსაო და ბუასსე ბოდიშის მოუხდელად გაანთავისუფლა.

### Ა Ა Ს Ე Ა Ი. / ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

**ხარბინი** (5 ივლისი). ავსტრიული ფირმის გერმან კობლიცის მიერ ჩინურ დიდ ფირმებთან ერთად დაარსდა ახალი ამხანაგობა ჩინეთ-მანჯურიისა, რომელიც კისრულობს ჩრდილოეთ მანჯურიიდან დასავლეთ ევროპაში ხორბლის გადატანას. ამხანაგობის ხელშია 36,000 ტონიანი გემები. ხორბალს გადაიტანენ ვლადივოსტოკით და ამურის ნიკოლაევსკით.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფი კუტაისოვი.

— შემუშავდა ყველა უნივერსიტეტებისათვის, გარდა ვარშავისა, იურიდიულ ფაკულტეტზე ეგზამენების წესი.

— ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრთა წინადადებით, მინისტრთა საბჭოში შეაქვთ პროექტი ბოლგარიაში, სათათრეთში და ფინლანდიაში რუსულ შაქრის გატანის წესის შეცვლისა. ბოლგარიაში და სათათრეთში გატანა შეიძლება $1^1/_2$ ფუთიან ჭურჭლით, ფინლანდიაში კი, იმ შემთხვევაში, როცა მექარხნენი ქარხნიდან გამოსულ შაქრის ბეს წარმოადგენენ და რომელნიც გინთავისუფლებულ იქნებიან ფინლანდიის საბაჟოს ნებართვით, ადგილობრივ საჭიროებათათვის უბაჟოდ გამოსულ შაქარზე.

**იაკუტსკი.** არსდება ციმბირის შესასწავლად და მის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არსებულ საზოგადოების განყოფილება.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს ჟუკოვი, რომელსაც თავისი სახლის დაწვა ბრალდება, სადაც სამი კაცი დაიღუპა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგ-მოსკოვის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოუშვა პირველი რუქა საფრენი გზებისა, სადაც აღნიშნულია მთელი პეტერბურგი—მოსკოვი.

**ახხაბადი.** ზაატრეკის ველში სპარსელ თურქმენებს, იომუდებსა და თეკიანთა შორის გამოჩნდა ვიღაც, რომელიც თავის თავს მუხამედ-ალი ფაშად აღიარებს. მას ყოველ მხრიდან უერთდებიან თურქმენები, რომელნიც ითხოულობდნენ სპარსეთის ტახტზე მუხამედ-ალის დაბრუნებას.

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

### ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ.

ამ უკანასკნელ ხანებში მკურნალ-გინეკოლოგთ «ქალთა ბევრგვარ სნეულებას» წამლობაში მარგებლად ხნეს სპერმინ-პელისა და მამმინის—შეზავება. ამ ორგანო-პრეპარატების შეზავება განსაკუთრებით მარგებელია სამშობიარო ხნოდან სისხლის დენისა, თვიურის მეჩერებისა, საშვილოსნოს ხიმსივნე-თიღმოსა, ფიბროცეიომისა და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს. მამმინის სპეციფიური გავლენა აქვს ქალთა სასქესო ნაწილებზე, სწრაფად და ხანგრძლივ წყვეტს სისხლის დენას, სიმსივნეს ამცირებს და სხვა. ხოლო სპერმინ-პელას კი მთელს სხეულზე აქვს გავლენა; იგი მადას ჰმატებს, ნერვებს ამაგრებს და სხვა. Мотцль

რობის გამომხატველი დასართავი სახელები იქმნება: კახელი და კახი, იმერელი და იმერი, ჯავახელი და ჯავახი, და მ. სხ.

რათგან ამ კანონსაც ხშირად არღვევენ ჩვენში, საჭიროდ ვთვლით ცოტა მეტი მაგალითები მოვიტანოთ ეთი-თ დაბოლოვებულ სახელთაგან წარმოებულ დასართავ სახელთა მართლ-წერის საჩვენებლად. ქვემორე ნაჩვენები სახელები, რომელთა პირდაპირ მხოლოდ ერთნაი დაბოლოვებიან დასართავნი სახელნი სხედან, ადამიანის სადაურობის მაჩვენებელნი, აღნიშნავს ქალაქებსა და სოფლებს.

| ქვეყნების, პროვინციების, ქალაქების და სოფლების სახელები: | დამოკიდებითი დასართავი სახელები, ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი. | დამოკიდებითი დასართავი სახელები სხვა სულიერ არსთა, განყენებითთა ცნებათა და უსულო საგანთათვის. |
|---|---|---|
| არაბეთი | არაბელი, არაბი | არაბული |
| არგვეთი | მარგველი | მარგული |
| აფხაზეთი | აფხაზელი, აფხაზი | აფხაზური |
| აჯამეთი | აჯამელი, აჯამი | აჯამური |
| ბაილეთი | ბაილელი | ბაილური |
| ბარალეთი | ბარალელი | ბარალური |
| ბერშოეთი | ბერშოელი | ბერშოული |
| გუდარეთი | გუდარელი | გუდარული |
| გულხეთი | გულხელი | გულხური |
| დუშეთი | დუშელი | დუშური |
| ერგნეთი | ერგნელი | ერგნული |
| ერუშეთი | ერუშნელი | ერუშნული |
| თიანეთი | თიანელი | თიანური |
| თონეთი | თონელი | თონური |
| თუშეთი | თუშელი, თუში | თუშური |
| იმერეთი | იმერელი, იმერი | იმერული |
| ინდოეთი | ინდოელი, ინდო | ინდოური |
| კაკაბეთი | კაკაბელი | კაკაბური |
| კარალეთი | კარალელი | კარალული |
| კახეთი | კახელი, კახი | კახური |
| კლარჯეთი | კლარჯელი, კლარჯი | კლარჯული |
| კოტიანეთი | კოტიანელი | კოტიანური |
| ლაზეთი | ლაზელი, ლაზი | ლაზური |
| ლეკეთი | ლეკელი, ლეკი | ლეკური |
| მაკვანეთი | მაკვანელი | მაკვანური |
| მესხეთი | მესხელი, მესხი | მესხური |
| მთიულეთი | მთიულელი, მთიული | მთიულური |
| ოზურგეთი | ოზურგელი | ოზურგული |
| ოსეთი | ოსელი, ოსი | ოსური |
| ოსმალეთი | ოსმალელი, ოსმალი | ოსმალური |
| სასირეთი | სასირელი | სასირული |
| საქაშეთი | საქაშელი | საქაშური |
| სვანეთი | სვანელი, სვანი | სვანური |
| სვიმონეთი | სვიმონელი | სვიმონური |
| სპარსეთი | სპარსელი, სპარსი | სპარსული |
| უსანეთი | უსანელი | უსანური |
| ფშავეთი | ფშაველი, ფშავი | ფშაური |
| ქაჯეთი | ქაჯელი, ქაჯი | ქაჯური |
| ქვიშხეთი | ქვიშხელი | ქვიშხური |
| ქობულეთი | ქობულელი | ქობულური |
| შავშეთი | შავშელი | შავშური |
| ჩერქეზეთი | ჩერქეზელი, ჩერქეზი | ჩერქეზული |
| ჩუღურეთი | ჩუღურელი | ჩუღურული |
| ცხუმუკვეთი | ცხურუკველი | ცხურუკვული |
| ძოვლეთი | ძოვლელი | ძოვლური |
| ჭანეთი | ჭანელი, ჭანი | ჭანური |
| ხევსურეთი | ხევსურელი, ხევსური | ხევსურული |
| ხვედურეთი | ხვედურელი | ხვედურული |
| ხურვალეთი | ხურვალელი | ხურვალური |
| ჯავახეთი | ჯავახელი, ჯავახი. | ჯავახური |
| ჯიქეთი | ჯიქელი, ჯიქი | ჯიქური |
| ჯურუყვეთი | ჯურუყველი | ჯურუყული |
| ჰუნგარეთი | ჰუნგარელი, ჰუნგარი | ჰუნგარული. |

ამნაირადვე წარმოებენ დასართავნი სახელნი, სხვათა შორის, იმ ქალაქებისა და სოფლების სახელებისაგან, რომელთაც დაბოლოებად აქვსთ ისი მაგ. ტფილისი, კრწანისი და სხ. ეს დაბოლოება სრულიათ ეკვეცებათ და იმის ალაგს იჭერს ელი და ური (ული). რათგან ამ შემთხვევაშიც ხშირია ხოლმე სისწორის გზითგან გადახვევა ჩვენთა მწერალთაგან, ამისთვისაც ჩამოვწერთ რამდენსამე ნიმუშს.

| ხაზელები ქალაქთა და სოფელთა | დამოკიდებითი დახართავი ხაზელები, ადამიანის სადაურობის მაჩვენებელი. | დამოკიდ. დახართავი ხაზელები სხვა სულიერ არსთა, თვინიერ ადამიანისა, განყენებითთა ცნებათა და უსულო საგანთათვის. |
|---|---|---|
| არანისი | არანელი | არანული |
| ოლნისი | ბოლნელი | ბოლნური |
| დმანისი | დმანელი | დმანური |
| ეგრისი | მეგრელი, მეგრი | მეგრული |
| კრწანისი | კრწანელი | კრწანული |
| მარელისი | მარელელი | მარელური |
| მანგლისი | მანგლელი | მანგლური |
| ოლთისი | ოლთელი | ოლთური |
| რუისი | მროველი | მროული |
| სამთავ(ნ)ისი | სამთავნელი | სამთავნური |
| ტირძნისი | ტირძნელი | ტირძნული |
| ტფილისი | ტფილელი | ტფილური |
| ურბნისი | ურბნელი | ურბნული |
| ქუთა(თ)ისი | ქუთათელი | ქუთათური |
| შინდისი | შინდელი | შინდური |
| ცეროვნისი | ცეროვნელი | ცეროვნული |
| წაგვისი | წაგველი | წაგვური |

შეწონებითი ხარისხი დასართავ სახელთა და მისი შესაფერი ბრუნვა. —ვითარებითს დართვითს სახელს, როგორც მოგეხსენებათ, შეწონებითი და აღმატებითი ხარისხები აქვს. მაგ. ლამაზი. ეს იქმნება დადებითი ხარისხი, ხოლო შეწონებითი—ულამაზესი, აღმატებითი—უულამაზესი (ანუ ფრიად ლამაზი) საცა შეწონებითს და აღმატებითს ხარისხს გამოვხატავთ ამა თუ იმ საგნის თვისებისას და თანაც ვხსენებთ თვით პატრონს, ვისაც ეს თვისება პიემისების, პატრონი მოგვიგებს კითხვაზე: რისა? ან ვისა? და უნდა დავსოთ ნათესაობითს ბრუნვაზე და არა მიცემითისაზე, როგორც დღეს ჩვენნი თანამედროვენი ამბობენ და წერენ კიდეცა. უნდა ვთქვათ უტკბესი თაფლისა (და არა თაფლზე უტკბესი, თაფლზე—თაფლსაზედა, ე. ი. მიცემითი ბრუნვა); უმარდესი აზრისა (და არა აზრზე უმარდესი); „დედ-მამისათვის შვილის (და არა შვილზე) უძვირფასესი ცათა ქვეშ არა მოიპოება რა; „ამის (და არა ამაზე) უკეთესი ვერა მოვიგონეთრა; „უპატიოსნესსა ქერუბინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაპინთასა“, ე. ი. ქერუბინების (ნათესაობ. ბრ). უპატიოსნესიო.

თ. ხახუტაიშვილი [signature as printed: თ ხახთკია.]

(შემდეგი იქნება)

7. მე-16-ე მინგრელის პოლკის პანაკამდე და აგრეთვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „

### ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვოში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვოში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) სახალხო მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვოში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვოში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოვისლავოლსკამდე, საერთაშორისოსამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

### Ნ Ი Ხ Რ Ი

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . . 50 „


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

◀ მშობიარეთათვის ▶

# ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ.

ოლგას ქ., ბებიაქ ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—59)

მუხრანის კერძო

# ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ო. გ. კალმიკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—101)

# ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ყოველ დღე, კვირაობით კარგა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6^1/_2$ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—75)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

# ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსნებთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—51)

გამოვიდა და ისყიდება

**ქართულად ახალი წიგნი**

# ᲧᲐᲩᲐᲦᲘ ᲥᲐᲗᲝ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

თარგმანი გლ. თოფურიძისა. ფასი 35 კაპ., კარგ ქაღალდზე 40 კ. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი კი იმყოფება г. Тифлисъ, Книжный магазинъ „Новая Жизнь“, Л. М. Карапетяна, Михайловскiй пр. № 36. (წიგნშია 180 გვ., 3 სურათით).

(6—711—2)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:

ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

B ä t o n-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

შ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

# ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗ

# ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ✦ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ✦

ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) და ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარაღანა).

# ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ახალი (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1058—)